



პროექტის მოკლე აღწერა

# ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში – საქართველო



ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გენდერული თანასწორობის დამკვიდრების, ქალთა ემედუნარიანობის გაძლიერებისა და ყველა ადამიანისთვის მდგრადი განვითარების მიღწევის წინაპირობად სულ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებული ამოცანები შეთანხმებულია მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგით, რომლის მიზანია „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ და შემცირდეს არსებული უთანასწორობები.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ (WEESC) 2018 წლის აგვისტოში დაიწყო. იგი მიზნად ისახავს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ქალების, განსაკუთრებით კი ღარიბი და სოციალურად გარიყული ქალების, ეკონომიკურ გაძლიერებასა და გადამწყვეტილების მიღწევის პროცესებში მათი ჩართულობის მხარდაჭერას. პროექტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

## საქართველოში არსებული ვითარება

1994 წელს საქართველომ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. ქვეყნის კონსტიტუცია (საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წელს დამტკიცებული ცვლილებების ჩათვლით) და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი (2010 წ.) ქალებისა და კაცებისთვის თანასწორ უფლებებსა და შესაძლებლობებს ადგენს და მათ შორის თანასწორობის მისაღწევად კონკრეტული ქმედებების განხორციელების აუცილებლობას აღიარებს. გენდერული თანასწორობის საკითხი შესაბამის კანონებსა და სხვადასხვა სხვადასხვა პოლიტიკაში, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაშია ასახული. თუმცა, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, განხორციელების თვალსაზრისით გამოწვევები კვლავაც რჩება. გლობალური გენდერული განსხვავების 2017 წლის ანგარიშში საქართველო 144 ქვეყანას შორის 94-ე პოზიციას იკავებს. ანგარიში აფასებს, თუ რამდენად კარგად იყენებენ სახელმწიფოები „ქალების ნიჭს ეკონომიკური, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობაზე დაფუძნებული და ფაუქსნებული და პოლიტიკური ინდიკატორების მიხედვით“.<sup>1</sup> სოციალური და კულტურული ბარიერები, სამუშაოს გენდერული ნიშნით დაყოფა, საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული აუნაზღაურებელი შრომა, ქალების მუშაობის წასახალისებლად არსებული სუსტი ფინანსური მოტივაცია, რაც ქალებისა და კაცების შრომის ანაზღაურების განსხვავებაშიცაა ასახული, იმ ძირითად დაბრკოლებებს წარმოადგენს, რომლებიც შემოსავლის მომტან საქმიანობებში ქალების მონაწილეობას ხელს უშლის.<sup>2</sup> არაფორმალური ეკონომიკა და სტაბილური სამსახურის პერსპექტივის არარსებობა რეგიონებში სოფლად მცხოვრებ ქალებს, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე მონყვლადად აქცევს.



**ქალები, საშუალოდ, კაცების ხელფასების 64%-ს გამოიმუშავენ.**

**ქალთა ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი, 58% - 17 პოტენციური ერთეულით ჩამორჩება კაცების ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელს.**

წყარო: საქსტატი (2018), „ქალები და მამაკაცები საქართველოში“

**ქალების 49%, რომელიც ამბობს, რომ არ მუშაობს, მიზეზად ოჯახურ პირობებს ასახელებს. ეს კი იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ქალებს ბავშვზე ზრუნვისა და სამსახურებრივი მოვალეობების შეთავსება უჭირთ.**

წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, კავკასიის კვლევის რესურსცენტრი CRR (2018)

<sup>1</sup> მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (2017), ანგარიში გლობალური გენდერული განსხვავების [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_GGGR\\_2017.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2017.pdf)  
<sup>2</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია, კავკასიის კვლევის რესურსცენტრი CRR (2018), „ქალთა ეკონომიკური პასიურობა და არაფორმალურ სექტორში მონაწილეობა საქართველოში“

## მოსალოდნელი შედეგები

**შედეგი 1:** ქალები, განსაკუთრებით კი ღარიბი და სოციალურად გარიყული ქალები, იყენებენ უნარებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და შესაბამის ინფორმაციას თვითდასაქმების და/ან ანაზღაურებით დასაქმებისთვის (საზოგადოების დონე);

**შედეგი 2:** შესაბამისი საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას (პოლიტიკისა და კანონმდებლობის დონე);

**შედეგი 1:** ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, მთავრობა და საჯარო დაწესებულებები აყალიბებენ და წერავენ გენდერულად სენსიტიურ პროგრამებს, საჯარო სერვისებს, სტრატეგიებსა და გეგმებს (ინსტიტუციური დონე).



## განხორციელების სტრატეგია

ცვლილებების თეორიის თანახმად, ყოველმხრივი მიდგომის და საზოგადოების წევრების, პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ინსტიტუციების დონეებზე ურთიერთდაკავშირებული ჩარევის დახმარებით, პროექტი ძირეულ ცვლილებების შესაძლებლობას შექმნის. აღნიშნულის მიღწევა ქალებთან თანმიმდევრული დიალოგისა და მათი მონაწილეობის მეშვეობით განხორციელდება, რათა შესაბამისი ინსტიტუტები, პოლიტიკა, კანონმდებლობა და სერვისები მათ საჭიროებებსა თუ მოთხოვნებს პასუხობდეს და შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების მქონე ქალებს თავადვე აძლევდეს ეკონომიკურად გაძლიერების საშუალებას. ასევე, პროექტი ხელს შეუწყობს შესაძლებლობათა განვითარებას, რათა გენდერული საკითხები შესაბამის კანონებსა და სხვადასხვა პოლიტიკაში, პროგრამებსა და სერვისებში ინტეგრირდეს და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა სტაბილურად მოხდეს.



## სამიზნე რეგიონები

საქართველოს სამი რეგიონის ცხრა მუნიციპალიტეტი: ვახეთი (ახმეტა, ლაგოდეხი, თელავი), ქვემო ქართლი (ბოლნისი, მარნეული, თეთრიწყარო) და სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა).